ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ72. 7223059001**

თარიღი:**28/02/2023**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და 2024 წლის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის,61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და 2024 წლის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ) 2023 - 2024 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3-6 -ე დანართების შესაბამისად.

დ) საბიუჯეტო განაცხადის პროგრამის,ქვეპროგრამისა და ღონისძიებების შესრულების ფორმები 7-8 დანართების შესაბამისად.

2. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება (საჭიროებიდან გამომდინარე).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ. №3), ბრძანების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გივი მოდებაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი